თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2673681

ნომერი: AR1409541

თარიღი : 31.05.2016

გაცემის თარიღი : 28.06.2016

გაცნობის თარიღი : 28.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , ინფექციური საავადმყოფოს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვასილი ჯალაღონია პ/ნ 62001000952
- ურიცკის ქ.№26

ორგანიზაცია:
- შპს "ეპიკ ვარკეთილი" კოდი: 404506833

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 მარტის №2515782 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 31 მაისის №AR1409541 განაცხადით მომართა ვასილ ჯალაღონიამ და ამავე სამსახურის 2016 წლის 31 მარტის №2515782 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 31 მარტის №2515782 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირზე, ინფექციური საავადმყოფოს მიმდებარედ, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით 2016 წლის 31 მარტის №2515782 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არასწორადაა მითითებული ავტოსადგომის ფართობი - 1118.90 კვ.მ ნაცვლად 1118.91 კვ.მ-ისა და საერთო ფართობი - 14965.49 კვ.მ ნაცვლად 14965.50 კვ.მ-ისა. ასევე, ტექნიკური შეცომა ფიქსირდება შეთანხმებულ გეგმებზე, კერძოდ, +3.10 ნიშნულის გეგმაზე „ა“ ბლოკში არაზუსტადაა მითითებული ავტოსადგომების ფართები, ამავე ნიშნულის გეგმაზე „ბ“ ბლოკში არასწორადაა აღნიშნული ბ-1 კომერციული ფართი, ხოლო +6.30 ნიშნულის გეგმაზე „გ“ ბლოკში არასწორადაა მითითებული ავტოსადგომის ფართი.

წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება: ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში გასწორებული მაჩვენებლების დაფიქსირება და +3.10 და +6.30 ნიშნულების შეთანხმებული გეგმების №AR1409541 განაცხადით წარმოდგენილი შესწორებული გეგმებით ჩანაცვლება.

სამსახურმა 2016 წლის 31 მარტის №2515782 ბრძანებით შეთანხმებული არიქტექტურული პროექტის და განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე საფუძვლია და წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და შესწორებული გეგმები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 მარტის №2515782 ბრძანებაში, კერძოდ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:14965.50, ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).:1118.91 და ბრძანებით შეთანხმებული +3.10 და +6.30 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს №AR1409541 განაცხადით წარმოდგენილი, ამავე ნიშნულების შესწორებული გეგმებით. სამსახურის 2016 წლის 31 მარტის №2515782 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 მარტის №2515782 ბრძანებასთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge